# პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს

## გადაწყვეტილება № 197

20 19წ. "17" 09

ქ.თბილისი

ა(ა)იპ საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის "საზოგადოება ცოდნის" ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 18 აპრილის №57 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის შესახებ

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შუამდგომლობის, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. ცვლილება განხორციელდეს ა(ა)იპ საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახლობის „საზოგადოება ცოდნის“ ავტორიზაციის შესახებ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2018 წლის 18 აპრილის №57 გადაწყვეტილებაში, კერძოდ, გადაწყვეტილების მეორე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,2. ა(ა)იპ საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახლობის „საზოგადოება ცოდნას“ მიენიჭოს უფლებამოსილება განახორციელოს დანართით გათვალისწინებული საგანმანათლებლო პროგრამები.“

დანართი

საგანმანათლებლო პროგრამები

| № | პროგრამის დასახელება | პროფესიული განათლების საფეხური | მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია კოდის მითითებით | კრედიტების რაოდენობა ქართულენოვანი სტუდენტებისათვის | კრედიტების რაოდენობა არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის | სწავლების ენა | ადგილების ზღვრული რაოდენობა | პროგრამის განხორციელების მისამართი / მისამართები |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ბუღალტრული აღრიცხვა (1) | მეხუთე დონე | უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია ბუღალტრულ აღრიცხვაში 0411 | 99 | 129 | ქართული | 30 | ქ. თბილისი, მ. კოსტავას ქ. № 47/57 |
| 2 | ფარმაცევტის თანაშემწე (1) | მეოთხე | ფარმაცევტის თანაშემწის მეოთხე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია 090351 | 95 | 125 | ქართული | 18 | ქ. თბილისი, მ. კოსტავას ქ. № 47/57 |

*(1) - აღნიშნავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის) საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას;*

*(2) - აღნიშნავს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის) საფუძველზე შემუშავებულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას, რომლის სავალდებულო პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგებისათვის გამოყოფილი კრედიტების საერთო მოცულობის 50% ან მეტი მიიღწევა რეალურ სამუშაო გარემოში (დუალური).*

2. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2019 წლის 17 სექტემბრის №16 სხდომის ოქმის მეთხუთმეტე ნაწილი ცნობილ იქნეს ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.
3. გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს საბჭოს სხდომის დღიდან.
4. პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, სააპელაციო საჩივრის სააპელაციო საბჭოში წარდგენის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, მ. ალექსიძის ქ. №1 ან ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი №6.

თავმჯდომარე
თამარ ქიტიაშვილი

მდივანი
ლელა მაისურაძე